ხელშეკრულება № 24
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

თვითმმართველი ქ. ფოთი

26 ივნისი 2012 წ.

ერთის მხრივ შ.პ.ს "ლაბორატორიული კვლევის ცენტრი" (შემდგომში „შემსყიდველი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის გრიგოლ რუხაძის სახით და მეორეს მხრივ ინდ. მეწარმე რევაზი ჩაკვეტაძეს (შემდგომში "მიმწოდებელი") სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია ავტომანქანის სათადარიგო ნაწილების, საცხებ-საპოხი მასალების შეძენა და სერვის-მომსახურების გაწევა ერთ პირთან მოლაპარაკებით ("სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის "ს" ქვეპუნქტის შესაბამისად, კოდი **CPV34300000 , CPV50100000)**

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 500 (ხუთას) ლარს.

3. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

3.1 შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

3.2 შესყიდვის ობიექტის მიღებისას საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლინებული დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრის საკითხს უზრუნველყოფს "მიმწოდებელი".

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

5.1. ანგარიშსწორების ფორმა, მისაწოდებელი საქონლის რაოდენობა, ფასი, საქონლის მიწოდების თარიღი და ადგილი განისაზღვრება ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, რომელიც მითითებული იქნება სასაქონლო ზედნადებში.

5.2 საქონლის ღირებულების გადახდა ხორციელდება გაცემიდან 15 (თხუთმეტი) დღის განმავლობაში უნაღდო ანგარიშსწორებით.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1 "მიმწოდებელი" იღებს ვალდებულებას მიაწოდოს საქონელი ან გაუწიოს სერვის-მომსახურება "შემსყიდველის" მოთხოვნის შესაბამისად.

5.2 "მიმწოდებელი" ვალდებულია მის მიერ მიწოდებულ საქონელზე ქარხნული წუნის აღმოჩენის ან უხარისხო სერვის-მომსახურების შემთხვევაში დროულად შეუცვალოს "შემსყიდველს" საქონელი და გაუწიოს სერვის-მომსახურება ანაზღაურების გარეშე.

5.3 "შემსყიდველი" ვალდებულია სასაქონლო ზედნადებით დარიცხული სასაქონლო ღირებულება "მიმწოდებელს" აუნაზღაუროს ხელშეკრულებით (4.2 პუნქტი) გათვალისწინებულ ვადებში.

5.4 "შემსყიდველი" ვალდებულია მიწოდებული საქონლის ქარხნული წუნის აღმოჩენის შემთხვევაში 1 (ერთი) დღის განმალობაში დაუბრუნოს უკან საქონელი "მიმწოდებელს".

6. ხელშეკრულების ვადა

6.1 ხელშეკრულება ძალაშია ხელშეკრულების დადების დღიდან 2012 წლის 31 დეკემბრამდე.

7. დავის გადაწყვეტის წესი

7.1 მხარეთა შორის წარმოქმნილი სადაო საკითხები გადაწყდება ურთიერთშეთანხმებით. თუ ასეთი შეთანხმება ვერ მიიღწევა, დავა გადაწყდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

7.2 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე სამ ეგზემპლარად, ინახება მხარეებთან და გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

9. მხარეთა რეკვიზიტები:

"შემსყიდველი"	" მიმწოდებელი"
შ.პ.ს „ლაბორატორიული კვლევის ცენტრი"	ინდ.მეწარმე რევაზ ჩაკვეტაძე
ქ. ფოთი, მიქაბერიძის №2	ქ. ფოთი მიქაბერიძის ქ.№31
ს/ს "საქართველოს ბანკი"	ს/ს პროკრედიტ ბანკი ფოთი
საიდენტიფიკაციო კოდი: 215139348	საიდენტიფიკაციო კოდი: 42001003032
მ/ა GE71BG0000000912492500	მ/ა GE83PC0103600100022933
ბანკის კოდი: BAGAGE22	ბანკის კოდი: MIBGGE22
დირექტორი: /გ. რუხაძე/	ი.მ: /რ.ჩაკვეტაძე/